განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

წარმოდგენილი კანონის პროექტში ცვლილებები გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან (შემდგომში - ასოცირების შეთანხმება) და ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულებიდან, რომელსაც საქართველო 2017 წლიდან შეუერთდა ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმით (შემდგომში - ოქმი). ოქმით განისაზღვრა ევროკავშირის შესაბამისი დირექტივებისა და რეგულაციების დანერგვის ვადები. აღნიშნული ოქმის მე-2 მუხლი ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას 2012/27/EU დირექტივასთან ენერგოეფექტურობის შესახებ.
ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის აპროქსიმაციას ევროკაშირის მოთხოვნებთან, რომელთა მიზანია ენერგეტიკის სფეროში კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბება. ასოცირების შეთანხმების XXV დანართში მოცემულია ენერგეტიკის სფეროში მოქმედი ევროკავშირის იმ დირექტივების და რეგულაციების ჩამონათვალი, რომელთა აპროქსიმაციის ვალდებულება ეკისრება საქართველოს. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველო 2017 წლიდან შეუერთდა ენერგეტიკულ გაერთიანებას. შესაბამისად, ენერგეტიკის სფეროს კანონმდებლობის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, მასზე გავრცელდა ასოცირების შეთანხმების 218-ე მუხლის დებულებები (32-ე სქოლიოს გათვალისწინებით), რომელთა მიხედვით, საქართველოს ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების შემთხვევაში, ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების დებულებებს ან, ამ ხელშეკრულების ძალით ევროკავშირის კანონმდებლობაში შესულ დებულებებს, ენიჭებათ უპირატესობა ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ ენერგეტიკის სფეროში ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებების თავთან მიმართებით.
ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-3 და მე-5 მუხლების მიხედვით, ენერგეტიკული გაერთიანების კომპეტენციაა ენერგეტიკის სფეროს მარეგულირებელი ევროკავშირის კანონმდებლობის იმპლემენტაცია გაერთიანების სივრცეში ადაპტირებული სახით.

კანონპროექტის მიზანია დირექტივასთან შესაბამისობა. რაც, ამასთანავე, ხელს შეუწყობს ენერგიის დაზოგვის სამიზნე მაჩვენებლის მიღწევას.

ზემოაღნიშნული დირექტივით განისაზღვრა ენერგოეფექტურობის წვლილის ცნება, რაც გულისხმობს იმ კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც ქვეყნის მახასიათებლებიდან გამომდინარე, ემსახურება ენერგოეფექტურობის ეროვნული სამიზნე მაჩვენებლის მიღწევას.
დირექტივასთან შესაბამისობის მიზნით, განისაზღვრება ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება მის მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობებში მოახდინოს მინიმალური ენერგეტიკული მახასიათებლების მიღწევის მიზნით ფართობის განახლება. მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას მის მფლობელობაში არსებულ შენობებზე. აღნიშნული რეგულაციის თანახმად ადმინისტრაციულმა ორგანომ ყოველწლიურად უნდა უზრუნველყოს მის საკუთრებასა და სარგებლობაში არსებული გათბობის ან გაგრილების საჭიროების მქონე შენობების საერთო სასარგებლო ფართობის 3%-ის განახლება, (რაც გულისხმობს აღნიშნული შენობების რეკონსტრუქციას, რომ გახდეს ენერგოეფექტური) და ენერგომენეჯმენტის სისტემების დანერგვა.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

კანონპროექტის შემუშავებისა და მიღების აუცილებლობა განპირობებულია საერთაშორისო ვალდებულებებით, ევროკავშირთან „ასოცირების შეთანხმების“ გაფორმებისა და შესაბამისად, საქართველოს „ენერგეტიკულ გაერთიანებაში“ გაწევრიანებით, ისევე როგორც დირექტივაში შესული ცვლილებებით.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონის პროექტის მიზნების შესრულება უზრუნველყოფს ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან აღებული ვალდებულებების შესრულებას. ენერგეტიკული გაერთიანების მიმართ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების გარდა, კანონის პროექტით გათვალისწინებული პოლიტიკის ტიპის ღონისძიებები თანხვედრაშია საქართველოს მიერ ენერგეტიკული სექტორის უსაფრთხოების, კონკურენტუნარიანობისა და მდგრადობის ამაღლების პოლიტიკის მიზნებთან.

ზოგადი შეფასებით, ენერგიის დაზოგვის ღონისძიებები, რომელთა განხორციელებისათვის საფუძვლების შექმნას მიზნად ისახავს აღნიშნული კანონი, არის ეკონომიკურად ეფექტური და აქვს მკვეთრად მაღალი ამოგების შიდა ნორმა, შესაბამისად, დადებით გავლენას მოახდენს როგორც მომხმარებლებისთვის ენერგიის ხელმისაწვდომობის გაზრდაზე, ასევე, ბიზნეს-კლიმატის გაუმჯობესებაზე.

საქართველოსთვის ენერგიის დაზოგვის სამიზნე მაჩვენებელი ევროკავშირის დირექტივის 2018/2002/EU მე-7 მუხლის მიხედვით (2019 და 2020 საქართველოს ენერგეტიკული ბალანსების მონაცემების საფუძველზე) შეფასებულია როგორც 944.17 ათასი ტნე ან 10 980 გვტ.სთ. ენერგიის მოსალოდნელი დანაზოგი ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმით (შემდგომში - ეკეგ) დაგეგმილი ენერგოეფექტურობის ღონისძიებების საფუძველზე შეადგენს - 1 310[1] ათასი ტნე-ს 2030

[1] აღნიშნული მაჩვენებელი დაზუსტდება ეკეგ-ის დამტკიცების შემდეგ.

წლისთვის. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ პოლიტიკის ტიპის ღონისძიებებით შესაძლებელია სამიზნე მაჩვენებლის მიღწევა.

გათბობის ან გაგრილების საჭიროების მქონე საჯარო შენობების საერთო სასარგებლო ფართობის 1%-ის განახლების ვალდებულება, ხოლო 2025 წლის 2 იანვრიდან 3%-იანი განახლების ვალდებულება მნიშვნელოვნად დაზოგავს საჯარო შენობებში ენერგიის მოხმარებას და გაზრდის კომფორტის დონეს. ადმინისტრაციული ორგანოს საკუთრებაში და სარგებლობაში არსებული შენობების პირველადი ინვენტარიზაციის შედეგად, 1% სამიზნე მაჩვენებელი შეფასდა როგორც სულ მცირე[2] 69 029 მ², ხოლო 3%-ის შემთხვევაში, იდენტური მაჩვენებელი იქნება სულ მცირე 207 088 მ² წელიწადში.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტს ცვლილება შეაქვს კანონის პირველ, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-11, მე-12, მე-14, მე-16, მე-17, მე-18, მე-19, მე-20, 24-ე, 28-ე მუხლებში.

კანონის მიზნებში გათვალისწინებულია ენერგოეფექტურობის სარგებლიანობის უპირატესი პრინციპი, რომელიც გვხვდება კანონპროექტის შემუშავების დროისთვის მოქმედ დირექტივაში.

ტრანსპოზიციის შედეგად კანონპროექტით შემოტანილია ენერგოეფექტურობის წვლილის ცნება, რაც დადგინდება ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმით. დირექტივა ენერგოეფექტურობის ეროვნულ სამიზნე მაჩვენებელთან ერთად, დღეის მდგომარეობით, იცნობს ენერგოეფექტურობის წვლილის ტერმინსაც. ეს ტერმინი ცალკე დირექტივაში არ არის განმარტებული, თუმცა ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ წვლილის განსაზღვრის პრაქტიკით (მაგალითად, პოლონეთი), ცხადი ხდება, რომ ენერგოეფექტურობის წვლილი გულისხმობს იმ კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც ქვეყნის მახასიათებლებიდან გამომდინარე, ემსახურება ენერგოეფექტურობის ეროვნული სამიზნე მაჩვენებლის მიღწევას. შედარებისთვის, თუკი ენერგოეფექტურობის ეროვნული სამიზნე მაჩვენებელი საქართველოსთვის იქნება X, ამის მიღწევა ქვეყნის მახასიათებლებიდან გამომდინარე (მთლიანი შიდა პროდუქტი, ენერგოდანაზოგების პოტენციალი, ინტენსივობა, ენერგიის მოხმარების შემცირება) შესაძლებელი იქნება Y ღონისძიებებით (ენერგოეფექტურობის წვლილი) მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნის მახასიათებლებიდან გამომდინარე, იგივე X ეროვნული სამიზნე მაჩვენებლის მიღწევას შეიძლება სჭირდებოდეს Z ღონისძიებები.

კანონპროექტით შემოტანილია ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის (ეკეგ) ცნება. ეკეგ-მ, რომელიც, თავის მხრივ, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკის ნაწილია, მეტწილად მოიცვა კანონში გათვალისწინებული ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა (ეესგ). ვინაიდან ეესგ ჩანაცვლებულია ეკეგ-ით, მითითება გაკეთდა ეკეგ-ს დამტკიცებამდე წინა სამ წელიწადზე (2021, 2022, 2023), რომლითაც შემდეგ განისაზღვრება 2025 წლის სამიზნე მაჩვენებლის განახლებული 0.8%-იანი მოთხოვნა ახალი დირექტივის შესაბამისად (2018/2002/EU).

[2] შეფასება ეფუძნება პირველად მონაცემებს, რომლებიც დაზუსტდება მომდევნო ინვენტარიზაციის პროცესში.

კანონის დახვეწის და მისი ამოქმედების შემდგომ გამოვლენილი საჭიროებების ასახვის მიზნით კანონპროექტს არსებულ ენერგოეფექტურობის ვალდებულების სქემასთან ერთად შემოაქვს სქემის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესაძლებლობა. აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ენერგეტიკული მახასიათებლების მიღწევის მიზნით ფართობის განახლება შეეხება ადმინისტრაციული ორგანოს საკუთრებასა და სარგებლობაში არსებულ შენობებს ნაცვლად ადმინისტრაციული ორგანოს სარგებლობაში არსებული შენობებისა, რაც თანხვედრაშია 2012/27/EU დირექტივასთან.

კანონის ამოქმედების შემდგომ გამოვლენილი საჭიროებების ასახვის მიზნით, ენერგოაუდიტორის პროფესიის დაუფლების გზებს ალტერნატივის სახით დაემატა გადამზადების, სერტიფიცირებისა და რეგისტრაციის მეთოდი და ჩამოყალიბდა „ენერგოაუდიტორთა, შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიკატების გამცემი და შენობებში გათბობისა და ჰაერის კონდიცირების სისტემების ინსპექტირების განმახორციელებელი დამოუკიდებელი ექსპერტის სერტიფიცირების და შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიკატების, გათბობის და ჰაერის კონდიცირების სისტემების ინსპექტირების ანგარიშების შემოწმებისა და გადამოწმების წესების“ სახით, რომლის დამტკიცებაც განსაზღვრულია ცვლილებების პროექტის შესაბამისად. შედარებით გამარტივებული ალტერნატიული პროცედურის შემოტანა ნაკარნახევია კანონის ამოქმედების შემდგომ, ენერგოაუდიტორის პროფესიის დაუფლებაზე მოთხოვნის პრაქტიკული არარსებობით. ამასთან, კანონპროექტი გვთავაზობს ენერგოაუდიტორის ტერმინის იმგვარ შემოტანას, სადაც მოაზრებული იქნებიან მრეწველობის სექტორში ენერგოაუდიტორებთან ერთად, აგრეთვე, შენობების სექტორში ენერგოაუდიტორები.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი უკავშირდება სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ (2. ეკონომიკური განვითარება; 2.7 ენერგეტიკის ნაწილი).

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-17 პუნქტით გათვალისწინებული კანონის 28-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და მე-2 მუხლისა, ამოქმედდება 2025 წლის 2 იანვრიდან, ვინაიდან, კანონპროექტით შემოთავაზებული ცვლილების აღსრულების მიზნით, აღნიშნულ ვადამდე საჭიროა რიგი ღონისძიებების განხორციელება. კანონის პირველი მუხლის მე-17 პუნქტით გათვალისწინებული კანონის 28-ე მუხლის მე-5 პუნქტი და მე-2 მუხლი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ვინაიდან, მისი ამოქმედებისათვის დამატებითი პირობები ან ვადები არ არის საჭირო და მნიშვნელოვანია მისი დროული ამოქმედება. კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისათვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა მოთხოვნილი არ არის.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალო ვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი. აღსანიშნავია, რომ გარდა სახელმწიფო ბიუჯეტისა, „ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, სამინისტროს მიერ პროგრამების, ღონისძიებებისა და საქმიანობების პოპულარიზაცია, ხელშეწყობა და განხორციელება ხდება საერთაშორისო და რეგიონალურ დონორ ორგანიზაციებთან კოორდინაციითა და თანხების მობილიზაციით.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის ჯარიმა ან სხვა ისეთი დანაწესი, რაც მოახდენს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. ენერგოეფექტურობის პოლიტიკის განხორციელების მთავარი ინსტრუმენტია საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, რაც ითვალისწინებს წარმოდგენილი კანონპროექტის მიღებას, მასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე აქტებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და შემდგომ დანერგვა/განხორციელებას.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტის მიღების შედეგად ენერგოეფექტურობის ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე მითითება (გარდა კანონპროექტის მიღების დროს უკვე დამდგარი ვალდებულებებისა) პრაქტიკულად ჩანაცვლდება ეკეგ-ზე მითითებით. ამის მიუხედავად, ეკეგ-ის შემუშავების შესაძლო გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე არ წარმოადგენს ამ კანონპროექტის ამოქმედების შედეგს. ეკეგ-ის შემუშავების და დამტკიცების საკითხები რეგულირდება ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ საქართველოს კანონით.

კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს საჯარო დაწესებულებებზე, კერძოდ, კანონის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, 2021 წლის პირველი იანვრიდან ადმინისტრაციული ორგანოების სარგებლობაში არსებული, გათბობის ან გაგრილების საჭიროების მქონე შენობების საერთო სასარგებლო ფართობის 1% დაექვემდებარა განახლებას შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებისა და შენობაში ენერგიის მოხმარების ეფექტურობის მისაღწევად[3].

[3] აღნიშნული ვალდებულება განისაზღვრა ენერგოეფექტურობის დირექტივის მე-5 მუხლის თანახმად, განხორციელების ვადა განისაზღვრა ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთან მოლაპარაკებების პროცესში.

საჯარო შენობების 1%-ის განახლების ვალდებულების გავრცელება კანონში გათვალისწინებულია ეტაპობრივად. თავდაპირველად, 2021 წლიდან განახლებას დაექვემდებარა ის საჯარო შენობები, რომელთა საერთო სასარგებლო ფართობი (რომელიც თბება ან გრილდება) აღემატება 500 m^2 - ს, 2023 წლიდან აღნიშნული მოთხოვნა გავრცელდა იმ შენობებზე, რომელთა საერთო სასარგებლო ფართობი აღემატება 250 m^2. შენობების განახლება მოხდა დონორული საგრანტო და სასესხო პროექტების (EU, KfW, EBRD, NEFCO და სხვ.) ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს სკოლების ენერგოეფექტურ განახლებას.

კანონის მიხედვით ვალდებულება არ ვრცელდება:
ა) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობებზე, იმ შემთხვევაში თუ, მათი ენერგეტიკული მახასიათებლების შეცვლა გამოიწვევს განსაკუთრებული ხასიათისა და გარეგნული იერ- სახის ცვლილებას;
ბ) ადმინისტრაციული ორგანოს სარგებლობაში არსებულ შენობებზე, რომლებიც გამოიყენება ეროვნული უსაფრთხოებისათვის, გარდა საცხოვრებელი ან საქართველოს თავდაცვის ძალების საოფისე შენობებისა;
გ) საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობაზე.

ამ ეტაპზე, საქართველოს მთავრობა ახორციელებს დონორების (EU, KfW, EBRD, E5P, NEFCO, WB, CEB, EIB) სასესხო და საგრანტო რესურსებით პროექტებს, რომელებიც ითვალისწინებს სკოლების ენერგოეფექტურ განახლებას.

1%-იან განახლებას დაქვემდებარებული შენობების იდენტიფიცირების მიზნით კანონით განისაზღვრა სამინისტროს მიერ შენობების რეესტრის შედგენა და მათი განახლების სტრატეგიის შემუშავება. აღნიშნული რეესტრისა და სტრატეგიის შემუშავება დაიგეგმა სამინისტროში არსებული სტრუქტურული ერთეულების მიერ EU/KfW-ს ტექნიკური დახმარების ფარგლებში. 1%-იანი განახლებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის დადგენა დაიგეგმა შერჩეულ შენობებში ენერგოაუდიტების ჩატარებითა და გასატარებელ ღონისძიებებზეტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევით.

ტრანსპოზიციის შედეგად ადმინისტრაციული ორგანოს საკუთრებაში და სარგებლობაში არსებული, გათბობის ან გაგრილების საჭიროების მქონე შენობების საერთო სასარგებლო ფართობის განახლების ვალდებულება 2025 წლის 2 იანვრიდან გავრცელდება ასეთი შენობების 3%-ზე ნაცვლად 1%-ისა. განახლებისთვის გაწეული ხარჯები გამოიყოფა დონორული პროექტებიდან.

კანონის პროექტით, ასევე, განსაზღვრულია ზემოხსენებული ვალდებულებების გავრცელება ადმინისტრაციული ორგანოს არა მხოლოდ საკუთრებაში, არამედ ასევე, სარგებლობაში არსებულ შენობებზე, რაც გულისხმობს ვალდებულების არეალის უფრო დავიწროებას და მეტ დაზუსტებას, ასევე უზრუნველყოფს ვალდებულების შესრულების გამარტივებასა და დირექტივასთან შესაბამისობას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ცვლილება არ გამოიწვევს ხარჯების ზრდას.

კანონპროექტში მოცემული ფუნქციები შესრულდება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შექმნილი ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიების პოლიტიკის და მდგრადი განვითარების დეპარტამენტის ან/და სხვა უკვე არსებული სტრუქტურის მიერ რომელთა თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობა კანონპროექტის მიღებისგან დამოუკიდებლად განისაზღვრება.

წარმოდგენილი კანონის პროექტის და ენერგოეფექტურობის საკანონმდებლო ბაზის მიღებისა (რაც ითვალისწინებს ენერგოეფექტურობის შესახებ კანონში, შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ კანონში და ენერგოეტიკეტირების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანას) და განხორციელებისთვის 2019 წლის 20 სექტემბერს KfW-სა და საქართველოსა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის ფარგლებში EU/KfW სამინისტროს ტექნიკურ დახმარებას გაუწევს 4 წლიანი პროგრამის ფარგლებში - 8 440 000 ევროს ოდენობის გრანტით. KfW-ს მიერ გამოცხადებული ტენდერის შედეგად GOPA-Intec - საერთაშორისო ენერგეტიკული საკონსულტაციო კომპანია - იქნა აყვანილი ამ პროექტის განსახორციელებლად, რომელთანაც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ხელი მოაწერა 2021 წლის ივლისში.

ამ დრომდე 8 440 000 ევროდან გახარჯულია 1 343 460 ევრო და დარჩენილი თანხა მოხმარდება ტექნიკური დახმარების ფარგლებში განსაზღვრული აქტივობების განხორციელებას.

ტექნიკური დახმარების ფარგლებში გათვალისწინებულია ამ კანონპროექტით დადგენილ დებულებათა უმეტესობის დანერგვისთვის შესაბამისი ნორმატიული აქტების მომზადება და ღონისძიებების განხორციელება, მაგ: ენერგოეფექტური ღონისძიებების განხორციელების შედეგად მიღებული ენერგოდაზოგვების გაზომვისა და დადასტურების სისტემის ჩამოყალიბება, ენერგოაუდიტორთა პროფესიის დაუფლება, სისტემის შემუშავება და დანერგვა, კვალიფიკაციისა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, ენერგოეფექტური ღონისძიებების განხორციელებისთვის სხვადასხვა სახის მხარდაჭერის სქემის შემუშავება და დანერგვა, შენობების მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციისა და ენერგოეფექტური გაუმჯობესების ღონისძიებებისთვის ინვესტიციების სტიმულირების მიზნით, გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება და ა.შ

ენერგოაუდიტორების მომზადებისა და მათ სერტიფიცირების სისტემის დანერგვა გათვალისწინებულია KfW-ს საგრანტო პროგრამაშიც.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო და საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის ამოქმედება ხელს შეუწყობს ე.წ. ენერგოეფექტურობის ბაზრის განვითარებას, ისეთის როგორიცაა ენერგოაუდიტების მომსახურების სრულყოფილი სისტემის დანერგვა. კანონის ამოქმედების შემდეგ, ორი წლის განმავლობაში რეალურად არ გამოვლენილა ენერგოაუდიტორის პროფესიის დაუფლების მსურველები. ეს გარკვეულწილად, აკრედიტაციისა და სერტიფიცირების კომპლექსურ წესებს

უკავშირდებოდა. შესაბამისად, კანონპროექტით შემოთავაზებულია „ენერგოაუდიტორთა, შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიკატების გამცემი და შენობებში გათბობისა და ჰაერის კონდიცირების სისტემების ინსპექტირების განმახორციელებელი დამოუკიდებელი ექსპერტის სერტიფიცირების და შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიკატების, გათბობის და ჰაერის კონდიცირების სისტემების ინსპექტირების ანგარიშების შემოწმებისა და გადამოწმების წესები“. თავის მხრივ, ეს წესი დაადგენს ენერგოაუდიტორის პროფესიის დაუფლების ნაკლებად კომპლექსურ პროცედურას. ასევე, შესაბამის პირებზე აღნიშნული გავლენას იქონიებს, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ ისინი უფრო მარტივად შეძლებენ პროფესიის დაუფლებას და მეორე მხრივ, გადამზადებისთვის, სერტიფიცირებისა და რეგისტრაციისთვის შესაბამისი პირები გადაიხდიან საფასურს, რაც შემდგომში განისაზღვრება ნორმატიული აქტის (ან, სადაც რელევანტურია - საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ) საფუძველზე და ძირითადად, როგორც მოსალოდნელია, მოემსახურება გადამზადების, სერტიფიცირებისა და რეგისტრაციის დროს წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურებას.

რამდენადაც ტრანსპოზიციის ფარგლებში სამინისტროს მიერ ენერგომომსახურების მიმწოდებელი კომპანიების სიის ხელმისაწვდომობა ცვლილებების შედეგად ვებ-გვერდის მისამართებსაც მოიცავს, თუკი მიმწოდებელ კომპანიებს არ ექნებათ ვებ-გვერდი, მათ მოუწევთ სულ მცირე ე.წ. ლენდინგ გვერდის შექმნა, სადაც შესაბამისი ინფორმაცია იქნება ხელმისაწვდომი. ეს შესაძლოა დაკავშირებული იყოს შესაბამისი ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯებთან.

ტრანსპოზიციის ფარგლებში, კანონპროექტის მიხედვით, განისაზღვრა სატრენინგო პროგრამების შემუშავება კანონში უკვე მითითებულ პროფესიებთან ერთად შენობებში გათბობისა და ჰაერის კონდიცირების სისტემების ინსპექტირების განმახორციელებელი დამოუკიდებელი ექსპერტებისთვის და შენობების სექტორში ენერგოაუდიტის განმახორციელებელი პირებისთვის. სატრენინგო პროგრამები ამ ორი პროფესიისთვის მუშავდება უკვე მითითებულ პროფესიებთან ერთად, ერთი აქტით, შესაბამისად დამატებითი ხარჯები ამ კუთხით მოსალოდნელი არ არის. მეორე მხრივ, კონკრეტულ სატრენინგო პროგრამებს შეიმუშავებენ საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებსაც მოსალოდნელია ჰქონდეთ ის ჩვეული დანახარჯი, რაც დგება სატრენინგო/გადამზადების პროგრამის შემუშავებისას.

კანონპროექტმა შესაძლოა ფინანსური და ადმინისტრაციული გავლენა იქონიოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ, საბოლოო მომხმარებელთან ანგარიშსწორების განმახორციელებელ პირებზე - მაგალითისთვის, კანონპროექტი თეორიულ ხარჯს ითვალისწინებს 24-ე მუხლის მე-5 პუნქტით ქვითრის წარდგენის პერიოდულობის განსაზღვრით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით საბოლოო მომხმარებლებს რეალურად კანონპროექტით გათვალისწინებულზე უფრო მაღალი სიხშირით წარედგინებათ ქვითრები. შესაბამისად, მოსალოდნელი ხარჯები ამ ნაწილში მხოლოდ თეორიულ ხასიათს ატარებს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) დადგენას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტის მიღებას არ აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტის მიღება გამომდინარეობს ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმის მე-2 მუხლიდან, რომელიც მიუთითებს 2012/27/EU დირექტივის ენერგოეფექტურობის შესახებ, რომელსაც ცვლილებები შეაქვს N2009/125/EC და N2010/30/EU დირექტივებში და აუქმებს დირექტივებს N2004/8/EC და N2006/32/EC იმპლემენტაციის ვალდებულებაზე, ასევე „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ XXV დანართიდან.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

კანონპროექტი ეფუძნება 2012 წლის 25 ოქტომბრის 2012/27/EU დირექტივას ენერგოეფექტურობის შესახებ, რომელსაც ცვლილებები შეაქვს N2009/125/EC და N2010/30/EU დირექტივებში და აუქმებს დირექტივებს N2004/8/EC და N2006/32/EC.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

წინამდებარე კანონპროექტი შემუშავებულ იქნა EU/KfW-ს ტექნიკური დახმარების ფარგლებში GOPA Intec-ის საერთაშორისო ექსპერტებთან თანმშრომლობით. ასევე, პროექტის შემუშავებაში, აქტიურად იყვნენ ჩართულები „საქართველოს ენერგოეფექტურობის ცენტრისა“ და იურიდიული კომპანია “BLC”- ის ადგილობრივი ექსპერტები. მომუშავე ექსპერტთა კონსორციუმმა შეისწავლა რამდენიმე ქვეყნის (იტალია, ლიეტუვა) მაგალითი ენერგოეფექტურობის დირექტივის ტრანსპოზიციისა და მის საფუძველზე საკანონმდებლო ბაზის მომზადების გამოცდილების გაზიარების მიზნით, რომლის საფუძველზე მომზადდა რეკომენდაციები საქართველოსთვის. აღნიშნული რეკომენდაციები გათვალისწინებული იყო კანონის პროექტის შემუშავების დროს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნის გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადების, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.